

**პიროვნული პროფილი, ღირებულებები და თვითკონტროლი  
პატიმრებში**

ელენე თურმანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2019**

## განაცხადი

*“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესები შესაბამისად”.*

ელენე თურმანიძე 26.06.2019

## აბსტრაქტი

ბნელი ტრიადის სახელწოდებით ცნობილი სამი პიროვნული ნიშნის შესახებ - მაკიაველიზმი, ფსიქოპატია და ნარცისიზმი არაერთი კვლევა არსებობს და მათი რაოდენობა კონსტრუქტის აქტუალობიდან გამომდინარე თანდათან უფრო იზრდება. კვლევის მიზანია დაადგინოს რა სახის კავშირი არსებობს ბნელი ტრიადის ნიშნებს, ადამიანთა ღირებულებებსა და თვითკონტროლის უნარს შორის პატიმრების ჯგუფში. კვლევა ჩატარდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 50-მა მამრობითი სქესის რესპოდენტმა, რომელთა ასაკობრივი კატეგორია განისაზღვრა 20-დან 70 წლამდე. გამოყენებული იქნა სამი საკვლევი ინსტრუმენტი : ბნელი ტრიადის საკვლევი კითხვარი (The Short Dark Triad SD3), თვითკონტროლის საკვლევი კითხვარი (10-item Self-Scoring Self-Control Scale) და ღირებულებების კითხვარი (Portrait Vaules Questionnaire-Revised PVQ-RR). მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ ფსიქოპატია ნეგატიურ კავშირშია კონფორმულობისა და უნივერსალიზმის ღირებულებებთან, ხოლო ტრიადის ნიშნები დადებითად კორელირებს ძალაუფლება-დომინანტობის ღირებულებებთან. გამოიკვეთა თვითკონტროლის კავშირი ბნელ ტრიადასთან და აღმოჩნდა, რომ ნარცისტული ნიშნისგან განსხვავებით, მაკიაველიზმი და ფსიქოპატია თვითკონტროლის დაბალ უნართან ასოცირდება. თვითკონტროლი წინასწარმეტყველებს ძალადობრივი დანაშაულის დროს ნასამართლეობის რაოდენობას. ღირებულებები და თვითკონტროლი დადებით კავშირშია თავმდაბლობის, წესებისადმი კონფორმულობისა და ინტერპერსონალური-კონფორმულობის ღირებულებებთან. სტატისტიკურად სანდო მონაცემები არ გამოვლინდა პატიმრობაში გატარებულ დროსა და თვითკონტროლს შორის, ასევე ასაკსა და ბნელი ტრიადის ნიშნებს შორის. მიღებული შედეგების

საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვითკონტროლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბნელი ტრიადის ნიშნების გამოხატვის თვალსაზრისით, ხოლო ტრიადის ღირებულებათა სისტემა მეტწილად ეფუძნება ძალაუფლება-დომინანტობისა და ჰედონიზმის ღირებულებებს.

*საკვანძო სიტყვები :* ბნელი ტრიადა, მაკიაველიზმი, ფსიქოპატია, ნარცისიზმი, ძირითადი ღირებულებები, თვითკონტროლი, პატიმრები.

## Abstract

There are many studies about the three well-known personality traits known as the dark triad- machiavellianism, psychopathy and narcissism, their number gradually increases due to the relevance of the triad. The purpose of the study is to find out what connection exists in the features of the dark triads, human values and self-control skills in the group of prisoners. The survey was conducted in special penitentiary service's N18 medical establishment for accused and convicts. 50 male respondents participated in the study, whose age varied from 20 to 70 years. Three measurements were used in the study : 1) The Short Dark Triad SD3, 2) 10-item Self-Scoring Self-Control Scale and 3) Portrait Vaules Questionnaire-Revised PVQ-RR. Statistical processing of the data showed that psychopathy was negatively linked with values of Universalism and Conformity, while Dark triad traits were positively correlated with the dominant values. Connection was revealed with self-control and dark triad traits and the results have shown that psychopathy and machiavelianism were linked with lower self-control than narcissistic trait. It was found that self-control predicts the number of convictions during the violent crime. Self-control was positively associated with Humility, Conformity-rules and Interpersonal-conformity.. Statistically reliable link was not detected between self-control and time spent in prison, no connection between the datk triad traits and age was identified either. Based on the results, we can say that self-control plays an important role in the expression of the dark triad features, and the triad system is mostly based on values of power-domination and hedonism.

**Key words** : Dark triad, Machiavellianism, Psychopathy, Narcissism, Human basic values, Self-control, Prisoners.